



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თავის აღმოსილვა

2025

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრიგატები.....	15

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია


ISSN 1512-1259

ინფლაცია


ინფლაცია სამიზნე 3 პროცენტიან მაჩვენებელზე ქვემოთ ნარჩუნდება. იანვარში წლიურმა ინფლაციამ 2.0% შეადგინა, ხოლო დეკემბერთან შედარებით ფასები 0.4%-ით გაიზარდა. ინფლაციის დაბალ დონეს, ერთი მხრივ, იმპორტირებული პროდუქტების დეფლაცია განაპირობებს. ამავედროულად, ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ინფლაცია კვლავ მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალია, რაც თავის მხრივ გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობაზე მიუთითებს.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, ასევე 2.0% შეადგინა.

თვის ინფლაცია 0.4% (მნიშვნელოვანი წვლილია)



წლიური ინფლაცია 2.0% (მნიშვნელოვანი წვლილია)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

იანვარში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში ყველაზე მნიშვნელოვანი ზეთის და ყველის გაძვირება იყო. თითოეული ამ პროდუქტის გავლენამ თვის ინფლაციაზე 0.1 პპ შეადგინა. დაახლოებით ამდენივე იმოქმედა თვითმფრინავის მგზავრობის გაიფხვამ თვის ინფლაციის შემცირებაზე.


წლიურ ჭრილში ინფლაციის მაცდებზე ყველაზე მეტად სურსათის 2.6%-იანი გაძვირება მოქმედებდა, რაც ინფლაციას 0.8 პპ-ით ზრდიდა, აქედან გამოსარჩევი მწვანილის და ზეთის გაძვირება იყო (ჯამური გავლენა ინფლაციაზე 0.4 პპ). საპირისპიროდ, ინფლაციის შემცირებაზე ინტერნეტის (-0.4 პპ) და ანტიბიოტიკების (-0.2 პპ) გაიფხვამ მოქმედებდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი


ჯგუფების წლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივმა ინფლაციამ იანვარში 2.3% შეადგინა. მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივი ინფლაციის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, ასევე 2.3%-ის დონეზე იყო. იმპორტირებული პროდუქტები, პირველ რიგში სანჯავის ფასების გავლენით (-0.3 პპ), წლიურად 0.4%-ით გაიფხვამ. შერეული პროდუქტების ინფლაცია 3.5%-მდე გაიზარდა და ამის მთავარი მიზეზი შერეულად წარმოებული სურსათის (მწვანილი, ზეთი) გაძვირებაა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივი წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2025 წლის წონები	იან25/დეკ24		იან25/იან24	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.4%	0.4%	2.0%	2.0%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	34.5%	1.1%	0.4%	3.0%	1.0%
სურსათი	31.7%	1.2%	0.4%	2.6%	0.8%
პური და პურპროდუქტები	6.9%	0.2%	0.0%	0.2%	0.0%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	-0.5%	0.0%	0.1%	0.0%
თევზეული	0.5%	0.0%	0.0%	1.9%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.1%	2.0%	0.1%	-0.4%	0.0%
ზეთი და ცხიმი	2.9%	2.8%	0.1%	10.9%	0.3%
ხილი, ყურძენი	1.7%	4.2%	0.1%	-1.3%	0.0%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	3.5%	0.1%	13.2%	0.4%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.9%	1.0%	0.0%	3.9%	0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	1.2%	0.0%	4.1%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	0.3%	0.0%	7.0%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	1.0%	0.1%	6.2%	0.4%
დანსაცემელი და ფეხსაცემელი	4.7%	-2.6%	-0.1%	-1.9%	-0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.8%	0.0%	0.0%	0.5%	0.0%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	-0.8%	0.0%	-1.2%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.1%	1.1%	0.1%	3.8%	0.3%
ტრანსპორტი	10.9%	-0.1%	0.0%	-1.0%	-0.1%
კავშირგაბმულობა	3.2%	0.1%	0.0%	-12.5%	-0.5%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.8%	0.4%	0.0%	1.0%	0.0%
განათლება	5.4%	0.0%	0.0%	5.1%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	-0.3%	0.0%	6.8%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	4.7%	0.8%	0.0%	6.9%	0.3%
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	60.8%	0.9%	0.6%	2.5%	1.5%
საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი	8.1%	-1.6%	-0.1%	-1.8%	-0.1%
ხანგრძლივადიანი მოხმარების საქონელი	5.2%	0.1%	0.0%	-0.7%	0.0%
მომსახურება	25.9%	-0.1%	0.0%	2.3%	0.6%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


დეკემბერში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 7.5 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 0.8 მლრდ ლარით) და 58.0 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 14.8%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.2 მლრდ ლარით (0.7%-ით) შემცირდა და 27.3 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული კლება, სახელმწიფო სექტორის დეპოზიტების შემცირებამ განაპირობა. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 1.0 მლრდ ლარით გაიზარდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 179.9 მლნ ლარით შემცირდა.

სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეკემბერში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 5.8% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი ფაქტობრივად არ შეცვლილა და 7.6%-ის დონეზეა, ასევე უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი უცვლელია და 2.1% შეადგინა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.5 პპ-ით გაიზარდა და 11.5% შეადგინა. აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთები, 0.1 პპ-ით, 3.0%-მდე, გაიზარდა, ასევე ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით, 1.8%-მდე, გაიზარდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაციამ დეკემბერში 52.8% შეადგინა. დეკემბრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.6 პპ-ით, 66.2%-მდე, ხოლო იურიდიული პირების 0.5 პპ-ით, 42.2%-მდე შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით მცირედით, 64.3%-მდე გაიზარდა.

დეკონსოლიდირების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვალდებულებების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეკემბერში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 17.0%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, სესხების ზრდის ტემპი 0.8 პპ-ით შემცირდა, რაც მეტწილად ეროვნული ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის შენელებამ განაპირობა. კერძოდ, დეკემბერში ეროვნული ვალუტით დაკრედიტება წლიურად 22.3%-მდე შემცირდა და მთლიანი სესხების ზრდაში 12.2 პპ წვლილი შეიტანა. ეროვნული ვალუტით დაკრედიტების ზრდის ტემპის შენელება, ერთი მხრივ, ლარის ბიზნესის სესხებს უკავშირდება, ასევე მცირედით შემცირდა იპოთეკური სესხების ზრდის ტემპიც, რომლის წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.5 პპ შეადგინა.

სასხაოების წლიური ზრდის ტემპი (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სასხაოები მიზნობრიობის მიხედვით (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეკემბერში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით შემცირდა და 13.1% შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი უცვლელია და 15.3%-ს შეადგენს, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.5 პპ-ით, 9.3%-მდე, გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სასხაოზე (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სასხაოზე (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით გაიზარდა და 12.6%-ს შეადგინა. ხოლო იზოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.6 პპ-ით გაიზარდა და 12.6% შეადგინა. დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით, 9.7%-მდე, გაიზარდა. უცხოური ვალუდით გაცემული იზოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 7.8%-მდე, შემცირდა.


დეკემბერში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.3 პპ-ით, 43.3%-მდე, გაიზარდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით, 63.1%-მდე გაიზარდა. ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია, 0.3 პპ-ით, 25.4%-მდე, მოიკლო. დეკემბერში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 230.3 მლნ ლარით შემცირდა და 452.8 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 47.9% ეროვნული ვალუდით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული ღვალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარეო სექტორი


2024 წლის დეკემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 29.4%-ით გაიზარდა და 1,106.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მატება იმპორტის ზრდას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 20.9%-ით 1,655.5 მლნ აშშ დოლარამდე მოიმატა, ხოლო ექსპორტმა წლიურად 6.8%-ით გაიზარდა და 549.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი


სავაჭრო ბალანსი ძველების მიხედვით (დეკემბერი 2024)




წყარო: საქსტატი

იმპორტი - დეკემბერში საქონლის იმპორტი წლიურად 20.9%-ით გაიზარდა. საქონლის იმპორტის მატება უმეტესად საინვესტიციო და სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის მატებით განაპირობა. ამასთანავე, შუალედური სახის საქონლის იმპორტი ზომიერად გაიზარდა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება სხვა საფრენი აპარატების, 10 მგზავრზე მეტი გადაწყვანი მანქანებისა და საცვირთო ავტომობილების გაზრდილმა შესყიდვებმა განაპირობა. მეორე მხრივ, ამავე ჯგუფში საცვლევონო აპარატების, ელექტრონიკის, ტრანსფორმატორებისა და საბეჭდი მოწყობილობების იმპორტი წლიურად შემცირდა. სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის მატებაში ყველაზე მეტი წვლილი შერეული საქონლისა და რეექსპორტისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების ზრდამ განაპირობა, ამასთანავე მანქანების მოცულობა მთლიან იმპორტში კვლავ მნიშვნელოვან წილს იკავებს. ამის საპირისპიროდ, დაიკლო შაერის კონდენსირების მოწყობილობებისა და სხვადასხვა ტანსაცმლის საქონლის ჯგუფების შესყიდვამ. შუალედური სახის საქონლის იმპორტის მატება უმეტესად ნავთობის აირების, ელექტროენერჯის, იმუნური შრაებისა და ბიფუმოვანი ნავთობპროდუქტების შესყიდვების ზრდამ განაპირობა. მეორე მხრივ, შაქრის, ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, შავი ლითონების მეცალოკონსტრუქციებისა და მერქანბოჭკოვანი ფილების იმპორტმა დაიკლო. მთლიანობაში, დეკემბერში წლიურად საქონლის იმპორტმა რეალურად 11.1%-ით მოიმატა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიცანა რუსეთმა, რაც უმეტესად ნავთობპროდუქტების და ნავთობპროდუქტების შესყიდვებს უკავშირდება, თუმცა ამ ქვეყნიდან ნახშირბადიანი ფოლადის წნელებისა და ღრუ პროფილების იმპორტი შემცირდა. გარდა ამისა, თურქეთიდან იმპორტის მატება სხვა საფრენი აპარატებისა და ალუმინის პროფილებისა და წნელების, ხოლო ჩინეთიდან საფრთხილ ავტომობილების, სპეციალიზირებული ავტომობილებისა და სამაცივრე მოწყობილობების გაზრდილმა შესყიდვებმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ესპანეთიდან შერეული საქონლის, გერმანიიდან მსუბუქი და საფრთხილ ავტომობილების, ესტონეთიდან და ნიდერლანდებიდან სხვა საფრენი აპარატების, ბულგარეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, პოლონეთიდან 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების, ხოლო აშშ-დან მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, დანარჩენი ქვეყნებიდან წლიურად იმპორტის კლების კუთხით გამოირჩეოდნენ ბრაზილია შაქრის, თურქმენეთი და აზერბაიჯანი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ხოლო არაბთა გაერთიანებული საამიროები საცელეფონო აპარატების შესყიდვების კლების გამო. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 62% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.


დეკემბერში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, ასევე სხვა საფრენ აპარატებს (29%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი დაახლოებით 12%-ით გაიზარდა და მთლიან იმპორტში 16%-იანი წილით კვლავ წამყვანი ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია ასევე, რომ დეკემბერში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის დეკემბერთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (დეკემბერი 2024, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 267	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 118		საფრენი აპარატები სხვა, 89	
	ნავთობის აირები, 77	შერეული საქონელი, 56	სამკურნალო საშუალებები, 60	სადილეფონო აპარატები, 37
			10 კაცზე მეტი ავტომობილები, 19	სივარები, სივარები და სოფარები, 18

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (დეკემბერი 2024)




წყარო: საქსტატი

ექსპორტი - დეკემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 6.8%-ით გაიზარდა და 549.4 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. საქონლის ექსპორტის ზრდა მეტწილად სამომხმარებლო სახის საქონლის ექსპორტის მატებამ განაპირობა. შუალედური სახის და საინვესტიციო სახის საქონლის ექსპორტმა კი ზომიერად დაიკლო. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფიდან ყველაზე მეტი დადებითი წვლილი მსუბუქი ავტომობილების (5.5 კპ სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდაში) და ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაყიდვებმა შეიცანა. მოიმატა ასევე როგორც სამკურნალო საშუალებების, ასევე მინერალური, მცენარი და გაზიანი სასმელების ექსპორტმა. ამასთანავე, ადგილობრივი საქონლის ჯგუფებიდან აღსანიშნავია თხილი-კაკლის, ხილის წვენებისა და სხვადასხვა ცოცხალი ან გაყინული ხილის ჯგუფების ექსპორტის მატება.


შუალედური სახის საქონლის ექსპორტის კლებაში მნიშვნელოვანი უარყოფითი წვლილი ადგილობრივი წარმოების ნედლეულმა - ფეროშენადნობების - გაყიდვების არსებითმა შემცირებამ შეიძინა. ამასთანავე, კოპონის, ტერბორეაქტიული ძრავებისა და მედიცინაში გამოსაყენებელი ხელსაწყოების გაყიდვებმა დაიკლო. გარდა ამისა, დეკემბერში, ბოლო თვეების მსგავსად, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი კვლავ დაბალი იყო და ასევე წლიურად მისი გაყიდვების მოცულობა ფაქტობრივად არ შეცვლილა. ამის საპირისპიროდ, ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტმა მოიმადა. საინვესტიციო საქონლიდან ტრაქტორების, თამბაქოს დასამზადებელი ხელსაწყოებისა და სადვირთო ავტომობილების ექსპორტმა დაიკლო, ხოლო საოფისე მოწყობილობებისა და ბუღალტრული-ავტოგრაფიკების ექსპორტმა კი ზომიერად მოიმადა. დეკემბერში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 9.6%-ით შემცირდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების მატებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიძინა ყირგიზეთსა და ყაზახეთში ექსპორტის მატებამ, რაც უმეტესად მსუბუქი ავტომობილების მკვეთრად გაზრდილმა გაყიდვებმა განაპირობა. გარდა ამისა, ბულგარეთში ძვირფასი ლითონების კონცენტრატებისა და მადნების, უზბეკეთში მსუბუქი ავტომობილებისა და სამკურნალო საშუალებების, ხოლო ნიდერლანდებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტი გაიზარდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ინდოეთსა და პერუში მინერალური და ქიმიური სასუქების გაყიდვების მატება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი შემცირდა. კერძოდ, სომხეთსა და აზერბაიჯანში მსუბუქი ავტომობილების, აშშ-სა და თურქეთში ფეროშენადნობების, რუსეთში ყურძნის ნაფურალური ღვინოების, ციფრუსებისა და კაკლის, ხოლო ჩინეთში სპილენძის ჭართისა და სხვადასხვა სანელებლების ექსპორტის ზომიერი კლება. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 71% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

დეკემბერში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (40%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. წილობრივად ასევე მაღალი იყო სპირტიანი სასმელებისა და ყურძნის ნაფურალური ღვინოების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის მატებაში ყველაზე მაღალი წვლილები მსუბუქი ავტომობილებისა და ძვირფასი ლითონების მადნების ჯგუფებმა შეიძინეს (7.0 პპ და 2.4 პპ მთლიან ცვლილებაში შესაბამისად). დეკემბერში, წინა თვისგან განსხვავებით, ფეროშენადნობების გაყიდვებმა დაიკლო. წლის დასაწყისიდან მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შემცირება დაიწყო, თუმცა წლის მეორე ნახევარში გაყიდვებმა იმადა. კერძოდ, დეკემბერში წლიურად მნიშვნელოვნად (18.2%-ით) მოიმადა და 219 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, ექსპორტის მოცულობაზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, სასუქებისა და ტრაქტორების ჯგუფებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი კლება უარყოფითად აისახა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

მსუბუქი ავტომობილები, 208	ძვირფასი ლითონების მადნები, 25	სამკურნალო საშუალებები, 19	
	სპირტიანი სასმელები, 18	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 18	
	კაკალი სხვა, ახალი ან გამზარი, 16	ციტრუსები, 15	ყურძნის ლვინობი, 14
	ქიმიური სასუქები, 16	დავაზიანებული წყლები, 10	

წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ფულადი გზავნილები - დეკემბერში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 8.2%-ით დაიკლო და 285.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 7.6%-ით 34.8 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

წლიურად ფულადი გზავნილების მცირედი კლება საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება. დეკემბერში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 59%-ით, 31 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მაღალი ცემპებით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან და ისრაელიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები (18.4%-ით და 11.1%-ით). ასევე, დანარჩენი ქვეყნებიდან, როგორცაა ყირგიზეთი და გაერთიანებული სამეფო, გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ ზრდადია (183.7%-იანი და 19.3% -იანი მატება, შესაბამისად).

კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას. დეკემბერში, რეგიონის ერთ-ერთი დიდი ქვეყნიდან, კერძოდ ყაზახეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო (50.3%-იანი კლება). უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ მინიმალურ დონეზე რჩება.


დეკემბერში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (45.1%), აშშ (19.4%) და რუსეთი (11.0%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (დეკემბერი 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7353-დან 2.8123-მდე (2.8%-ით), ხოლო ევროს მიმართ - 2.9109-დან 2.9470-მდე (1.2%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.8068 და 2.9306 შეადგინა. დეკემბერში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.8746 იყო, მინიმალური კი - 2.7753.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმუმზე მეტად იყო გადახრილი.


დეკემბერში, საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია რუსული რუბლის, ლარის, სომხური დრამის, თურქული ლირის და ევროს გაუფასურება; ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (დეკემბერი 2024; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 5.9%-ით, თვის წრილში კი 1.4%-ით გაუფასურდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიურად გამყარება 2.1%, თვის წრილში კი გაუფასურება 1.4%-ია.

ეფექტური კურსის გამყარება იმპორტულ ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს.

სავაჭრო პარტნიორთაგან დეკემბერში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსში, აზერბაიჯანში, აშშ-სა და ევროზონაში საქართველოსთან შედარებით დაბალი იყო, ხოლო სომხეთში - მაღალი.


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (დეკემბერი 2024)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


დეკემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 8¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვიურად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შემცირებულია და კვლავ დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა თვიურად შემცირებულია, ხოლო წლიურად გაზრდილი. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 200.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 29.4 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, წინა წლის დეკემბერთან შედარებით კი - 66.4 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 51.6%-ით, წლიურად კი 43.8%-ით გაიზარდა.

დეკემბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შექმენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (95.7%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,855.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 725.3 მლნ აშშ დოლარით, ხოლო თვის წრიულში 626.7 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 0.7% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 28.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



*ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საოც გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



*გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს.


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია.

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დეკემბერში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 394.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრეში 329.2 მლნ აშშ დოლარით) და 1,992.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 331.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრეში 297.5 მლნ აშშ დოლარით) და 1,862.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოც გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

დეკემბერში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 132.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრეში - 77.4 მლნ აშშ დოლარი) და 173.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი - არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე, ხოლო მცირე ნაწილი შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 157.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


ბანკთაშორისი საოც გარიგებებით შიდა და გაყიდული უცხოური ვალუტა



*გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




*გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეკემბერში წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 324.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4,449 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები, სავალუტო ინტერვენციებით უცხოური ვალუტის წმინდა შეძენა და უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე დასაცავი სარეზერვო ნორმების მოცულობის ზრდა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების შევიწროებისთვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

დეკემბერში სადებოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიტო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის სადებოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


დეკემბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 295.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. დეკემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 50, 100 და 105 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 225.5 მლნ ლარით გაიზარდა და 9,673.0 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 68.9%-ს კომერციული ბანკების, 16.7%-ს ეროვნული ბანკის, 12.9%-ს რეზიდენტების, ხოლო 1.6%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

სადებოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეკემბერში სადებოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები ფაქტობრივად არ შეცვლილა. სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები მეცნილად შემცირდა. დეკემბერში სადებოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 7.47%-ს შეადგენდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.25 პპ-ით 7.56%-მდე, შემცირდა. ხოლო ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.04 პპ-ით შემცირდა და 7.66% შეადგინა; სახაზინო ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 0.05, 0.33 და 0.18 პპ-ით შემცირდა და, შესაბამისად, 8.37%, 8.65% და 8.58% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის გრადი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვიურად 564.4 მლნ ლარით (წლიურად 5,979.1 მლნ ლარით) 18,973.8 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეცნილად ეროვნული ვალუდის რესურსის ზრდით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (82.5%), რომლის მოცულობაც თვიურად 100.3 მლნ ლარით (0.6%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვიურად 664.7 მლნ ლარით (25.0%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით გაიზარდა და 8.4% შეადგინა. უცხოური ვალუდის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 2.3% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ დეკემბერში ფულადი ბაზრის რესურსის 40.3% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 59.0% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აბრეგატები

დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 226.5 მლნ ლარით (3.0%) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 7.3 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 226.3 მლნ ლარით (2.9%-ით) შემცირდა.


დეკემბერში, საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუდო გაყიდვებმა 66.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუდო აუქციონებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა დეკემბრის განმავლობაში 28.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუდო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 37.5 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. დეკემბერში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 495.4 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,447.3 მლნ ლარს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 344.6 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 500.0 მლნ ლარით გაიზარდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი 435.5 მლნ ლარით შემცირდა. დეკემბერში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატი. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, დეკემბერში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 325.0 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 6,935.1 მლნ ლარს გაუცოლდა.


დეკემბერში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 1,569.4 მლნ ლარით გაიზარდა, მეცნილად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 1,138.3 მლრდ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ტელეფონური ცხელ ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

